ETHNIC-DEMOGRAPHIC SITUATION IN SAMTSKHE-JAVAKHETI 20 TH CENTURY IN THE 40 S AND 50 S

ეთნიკურ-დემოგრაფიული ვითარება სამცხე-ჯავახეთში XX ს. 40-50-იან წლებში

IRMA ABESADZE

Samtskhe-Javakheti State University
Doctoral student of the Doctoral program of History of Georgia
113 Rustaveli str. 0800, Akhaltsikhe, Georgia
+995591411265, irmaabesadze@gmail.com
https://orcid.org/0009-0006-4384-6075

Abstract. Samtskhe-Javakheti constantly experienced a high rate of migrations, which affected regions religion and ethnicity. Even when comparing to Georgia's complex ethnical composition, country's southern area always had exceptional ethnic and religious diversity.

Research aims to analyze documentation, research papers and other sources to gain better understanding of Samtskhe-Javakheti Demography during 1940-50 period. Starting from 1944, after the Muslim population was deported from the region, government started displacing its own citizens from different regions to Samtskhe-Javakheti villages. Both deportation and displacement of citizens happened with great haste, but also quite operatively.

Based on archives, study shows number of immigrated families, as well as direction of resettlement. Study also indicates the government's policy during these "immigration operations" and analyzes hardships that followed to these forced resettlements.

Based on the facts and sources studied during the research, it is safe to say that forced migrations during 1940s and 50s greatly changed Samtskhe-Javakheti's population and ethnic diversity.

Key words: Samtskhe-Javakheti; Population; Migration; Demographics of Georgia;

ირმა აბესაძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი,
ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 113, 0800, საქართველო,
+995591411265, irmaabesadze@gmail.com,
https://orcid.org/0009-0006-4384-6075

აბსტრაქტი. სამცხე-ჯავახეთის რეგიონი მუდმივად განიცდიდა სერიოზულ მიგრაციულ ცვლილებებს როგორც ეთნიკური, ისე რელიგიური თვალსაზრისით. შედეგად საქართველოსთვის დამახასიათებელი ეთნიკური მრავალფეროვნების ფონზეც კი სამცხე-ჯავახეთი ყოველთვის გამოირჩეოდა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების სიმრავლით.

კვლევის მიზანია, მოძიებული წყაროების საფუძველზე გაანალიზოს XX საუკუნის 40-50-იან წლებში სამცხე-ჯავახეთში შექმნილი დემოგრაფიული ვითარების მიზეზები და შედეგები. როგორც ცნობილია, 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან მუსლიმი მოსახლეობის დეპორტაციის შემდეგ სამცხე-ჯავახეთის დაცარიელებულ სოფლებში განხორციელდა მოსახლეობის იძულებითი ჩასახლება საქართველოს სხადასხვა რაიონებიდან. გადმოსახლების ოპერაცია ჩატარდა ისევე ოპერატიულად და მაქსიმალურად მოკლე დროში, როგორც ეს მოხდა გასახლების შემთხვევაში.

სტატიაში, საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე, წარმოდგენილია გადმოსახლებული ოჯახების რაოდენობა რაიონების მიხედვით, ასევე განხილულია მათი განსახლების ძირითადი მიმართულებები, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები მიგრანტთა ადგილზე დაბინავებისთვის, გაანალიზებულია ის სირთულეები, რაც თან ახლდა ჩასახლების რთულ პროცესს.

სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მათი ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ XX ს-ის 40-50-იან წლებში რეგიონში იძულებით განხორციელებულმა მიგრაციულმა პროცესებმა გამოიწვია მოსახლეობის რაოდენობრივი და ეთნიკური შემადგენლობის თვისობრივი ცვლილებები.

საძიებო სიტყვები: სამცხე-ჯავახეთი; მოსახლეობა; მიგრაცია; ქართველთა ხვედრითი წილი;

შესავალი. ოსმალეთის იმპერიის ხანგრძლივმა ბატონობამ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ხოლო შემდეგ მეფის რუსეთის მიერ განხორციელებულმა ძალდატანებითმა მიგრაციულმა პროცესებმა საგრძნობლად შეცვალა მხარის ეთნო-დემოგრაფიული სურათი, ქართული ინტერესების შელახვის ხარჯზე. მიუხედავად ამისა, ქართველთა ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო შემადგენლობაში ყოველთვის მაღალი რჩებოდა. იძულებითი მიგრაციული პოლიტიკა გაგრძელდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდშიც. კერძოდ, 1944 წელს განხორციელდა რეგიონში მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობის იძულებითი მასობრივი დეპორტაცია, რამაც გამოიწვია ეთნო-დემოგრაფიული ვითარების კარდინალურად შეცვლა: ქართველები საბოლოოდ აღმოჩნდნენ უმცირესობაში, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობა შეადგინა სომხურმა თემმა.

სამხრეთ საქართველოდან მუსლიმი მოსახლეობის მასობრივი გასახლების შემდეგ (გასახლებულ იქნა დაახლოებით 86 ათასი კაცი) სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. მოსახლეობის რაოდენობის გაზრდისა და ეთნიკური ბალანსის აღდგენის მიზნით სამცხე-ჯავახეთის დაცარიელებულ სოფლებში დაუყოვნებლივ მოხდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მოსახლეობის იძულებითი გადმოსახლება.

ახალციხის რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცული მასალების საფუძველზე ჩავატარეთ კვლევა, რათა დაგვედგინა, როგორ იმოქმედა 40-50-იან წლებში განხორციელებულმა მიგრაციულმა პროცესებმა რეგიონის ეთნო-დემოგრაფიულ ვითარებაზე, მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური შემადგენლობის ცვლილებაზე. სტატიაში მოყვანილია საარქივო მასალები და მათი ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები.

მეთოდი. წარმოდგენილ სამეცნიერო სტატიაში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი, რომელიც გამოყენებული იქნა პრაქტიკულ კვლევაში სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და პროცენტული მაჩვენებლების დადგენისთვის; ინდუქციის მეთოდი, რომელმაც მოგვცა საშუალება,

კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით დაგვენახა საერთო სურათი; შედარებით-ისტორიული მეთოდისა და მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის დახმარებით ჩამოყალიბდა კვლევის შედეგები და დასკვნები.

შედეგები. 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებული მუსლიმი მოსახლეობის ნაცვლად რეგიონის დაცარიელებულ სოფლებში მოხდა ქართული მოსახლეობის იძულებითი ჩასახლება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. ჩასახლებული მოსახლეობის ადგილობრივ კლიმატურ პირობებთან და გარემოსთან შეგუების პროცესი რთულად მიმდინარეობდა. დიდი ნაწილი ცდილობდა უკან დაბრუნებას, მიუხედავად მათთვის აუცილებელი საარსებო პირობების შექმნისა. XX ს-ის 40-50-იან წლებში მიზანმიმართულად განხორციელდა რამდენიმე შიდა რაიონული მიგრაციაც.

1944-1955 წლებში სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე ხელოვნურმა მიგრაციულმა პროცესებმა გამოიწვია თვისობრივი ცვლილებები მოსახლეობის რაოდენობრივი და ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით. კერძოდ, მოხდა მოსახლეობის საერთო რაოდენობრივი მაჩვენებლის შემცირება, ასევე შემცირდა ქართველთა როგორც აბსოლუტური რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი, ისე ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. შიდა რაიონული მიგრაციების უკონტროლო განხორციელებამ გამოიწვია მრავალი სოფლის სრული დაცარიელება და ლიკვიდაცია.

დისკუსია. სამხრეთ საქართველოდან მუსლიმი მოსახლეობის დეპორტაციის ასპექტები საკმაოდ კარგად არის განხილული ქართულ ისტორიოგრაფიაში. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის სოფლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მოსახლეობის იძულებით ჩასახლებას, აღნიშნული საკითხი საჭიროებს მრავალმხრივ კვლევასა და შესწავლას. ამჯერად ჩვენ განვიხილავთ საკითხის დემოგრაფიულ და ეთნიკურ მხარეს, ძირითადად ახალციხის რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცული მასალების შესწავლის საფუძველზე.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფლებში მოსახლეობის ჩასახლების ოპერაცია ჩატარდა ისევე ოპერატიულად და მაქსიმალურად მოკლე დროში, როგორც ეს მოხდა მუსლიმი მოსახლეობის დეპორტაციისას. ოპერაციის პირველი ეტაპი დაიწყო ბორჯომისა და ხაშურის რაიონებიდან 1944 წლის 15 ნოემბერს და დასრულდა ამავე წლის 10 დეკემბრისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველ გეგმაში ბორჯომის რაიონიდან ჩასახლება არ იყო გათვალისწინებული, ეს მოგვიანებით დაიგეგმა და გადმოსახლების პროცესიც სიახლოვის გამო სწორედ ბორჯომის რაიონიდან იქნა დაწყებული (ნათმელაძე, 2002, გვ. 46).

ახალციხის რაიონულ არქივში დაცულია ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომის თავჯდომარის ჩხიკვაძის საქართველოს ხელისუფლების ცენტრალური ორგანოებისადმი 1947 წლის 24.07 დათარიღებული N770/2 მოხსენებითი ბარათი. მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, რომ 1944 წლის 16 დეკემბრიდან საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ახალციხის რაიონში ჩასახლებულ იქნა 2359 ოჯახი (იხ. დანართი 1). მათ შორის ბორჯომის რაიონიდან - 634 ოჯახი, ხაშურის რაიონიდან - 244 ოჯახი, გორის რაიონიდან - 79 ოჯახი, ხარაგაულის რაიონიდან - 579 ოჯახი, ზესტაფონის რაიონიდან - 517 ოჯახი და ჭიათურის რაიონიდან - 307 ოჯახი (არსა, საქმე 426, გვ. 52). მათგან ხაშურის, ბორჯომის, ჭიათურის და ნაწილობრივ ზესტაფონისა და ხარაგაულის რაიონებიდან გადმოსახლებულები ჩაასახლეს სოფლებში - ზიკილია, სვირი, ბოგა, ტყემლანა, თისელი; ბორჯომის რაიონის სოფელ გომნადან და ქ. ბორჯომიდან სოფელ აბში ჩაუსახლებიათ 76 ოჯახი; სოფელ საყუნეთში - 114 კომლი სოფ. თელოვანიდან, ლარებიდან, ბანისხევიდან და თორიდან; სოფელ მინაძეში ჩასახლებულა 50 ოჯახი, ძირითადად, სოფლებიდან - ბალანთა, ჭოხარულა, პატარა მიტარბა; სოფ. ქისათიბში-79 ოჯახი (ნათმელაძე, 2002, გვ. 44). ხარაგაულის რაიონიდან

გადმოსახლებულთა ძირითადი ნაწილი ჩასახლებულა სოფლებში კლდე და წნისი, ხოლო ზესტაფონის რაიონიდან - სოფელ აწყურში. სოფელ ხეოთში 29 ოჯახი გადმოასახლეს ახალხევის რაიონის (ადმინისტრაციული რაიონი საქართველოს სსრ-ში 1943-1955 წლებში) სოფელ არღუნიდან. 1946 წლისთვის ახალციხის რაიონის 52 კოლმეურნეობიდან ჩასახლება განხორციელდა 26 სოფელში (იხ. დანართი 2).

საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მოსახლეობის გადმოსახლების გარდა განხორციელდა ასევე შიდა სარაიონო მიგრაციებიც. მაგ., ახალქალაქის ყოფილ სოფელ საზიანაში ჩაასახლეს იმავე რაიონის სოფელ პტენადან 25 კომლი, სოფელს კი სახელი შეუცვალეს და ახალი პტენა უწოდეს. 25 მოსახლე გადაასახლეს სოფელ გოგაშენიდან სოფელ დანგალში და უწოდეს ახალი გოგაშენი. სოფელი გრაკალი გადავიდა სოფელ ხანეტში და შეინარჩუნა გრაკალის სახელი (ნათმელაძე, 2002, გვ. 45). შიდა სარაიონო მიგრაციების ძირითად მიზანს წარმოადგენდა მთის მცირემიწიანი სოფლის მოსახლეობის გადაყვანა ბარის სოფლებში, სადაც მიწის გაცილებით მეტი რესურსი არსებობდა, ამიტომ შიდა მიგრაციები ხშირად იწვევდა პატარა სოფლების ლიკვიდაციას. მაგ., ახალქალაქის რაიონში განხორციელდა რამდენიმე სოფლის სრული დაცლა (სოფ.- ქერცები, ქართა და მირაშხანი და სხვ).

ასპინძის რაიონში 4030 გასახლებული კომლის ნაცვლად 1945 წლის 20 მაისისთვის ჩასახლებულ იქნა 1 849 კომლი, ძირითადად, დუშეთისა და ჩხარის (დღევანდელი თერჯოლის მუნიციპალიტეტი) რაიონებიდან. კერძოდ, დუშეთის რაიონიდან მოსახლეობა ჩაასახლეს სოფლებში: იდუმალა - 121 კომლი, რუსთავში - 65, ღობიეთში - 144, ორგორაში - 103 კომლი, ხერთვისში - 74 და ა.შ. ჩხარის რაიონიდან (დღევანდელი თერჯოლის მუნიციპალიტეტი) ჩასახლება მოხდა დაბა ასპინძაში - 173 კომლი, ოშორაში - 246 და ოთაში - 114 კომლი. განხორციელდა შიდასარაიონო მიგრაციაც, კერძოდ, სოფელ აგარიდან მოსახლეობის ნაწილი ჩაასახლეს სოფლებში - თმოგვი, დადეში, აწყვიტა და როკეთი. დარჩენილი 18 კომლი კი გადაიყვანეს სოფელ ტოლოშში. ასპინძის რაიონში შიდა მიგრაციების შედეგად 41 სოფელი აღმოჩნდა ლიკვიდირებული (ნათმელაძე, 2002, გვ. 46). ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც მოქმედებდა ცენტრალური ხელისუფლების მითითებით, არ ცდილობდა მოსახლეობის დამაგრებასა და შენარჩუნებას მთის დაცარიელებულ სოფლებში.

1946 წლის მარტში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით მოხდა კიდევ ერთი გადასახლება. კერძოდ, ბორჯომის რაიონიდან ახალციხის რაიონის სოფლებში ქისათიბსა და ღრომში ჩასახლებული ოსების 88 ოჯახი ამჯერად გადასახლებულ იქნა ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ში. ახალციხის რაიაღმასკომის საბჭოს 1946 წლის 3 აპრილის სხდომის # 237 ოქმში შესულია დადგენილება, რომელიც სწორედ ამ ფაქტს ეხება. მასში ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის 1 მარტამდე უნდა მოხდეს კოლმეურნეთა ორგანიზებულად გაგზავნის უზრუნველყოფა და მათი ქონების ჩაბარება (არსა, საქმე 424).

დაცარიელებული სოფლების სახელმწიფო მიწები, როგორც წესი, გადაეცემოდა მეზობელ სოფლებს ან სახელმწიფო უწყებებს. მაგ., ყოფილი სოფელ ქისათიბის სახელმწიფო ფონდის მიწები ახალციხის რაიაღმასკომის 1947 წლის 19 მარტის დადგენილებით გადაეცა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად (მანამდე განაწილებული იყო სხვადასხვა სოფლებზე). ამავე წელს ყოფილი სოფელი ინჯგოლი წინუბნის კოლმეურნეობას, ხოლო ყოფილი სოფელი ტრიბონი წყრუთის კოლმეურნეობას გადაეცა (არსა, საქმე 424).

თითოეულ ჩასახლებულ მოსახლეს გამოეყო საკარმიდამო ნაკვეთი 0.75 ჰა, აქედან ბაღი 0.30-დან 0.40 -მდე (არსა, საქმე 426, გვ. 53). ჩასახლებულებს სახლების მშენებლობისათვის მიეცათ გრძელვადიანი სესხები: მათი სამშენებლო მასალით უზრუნველსაყოფად კი რეგიონში აიგო ორი ქარხანა (ერთი უშვებდა წელიწადში 400 ათას ცალ კრამიტს, მეორე კი- 1მლნ 600 ათას ცალს); 1947 წლის 1 ნოემბრისთვის ექვს სოფელში

იქნა გაყვანილი წყალსადენი: ნოხტევ-მუგარეთი, ფერსა-გიორგიწმინდა, თისელი, ტყემლანა, აწყური, წნისი; ჩასახლებულებს მიეყიდათ პირუტყვი; გადაეცათ ფუტკრის ოჯახები; უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს კი სასურსათო სესხის სახით დაურიგდათ მარცვლეული (არსა, საქმე 426, გვ. 53); სოფელ სვირში გაყვანილ იქნა რადიო-ტელეფონის ხაზი და ა.შ.

ერთი შეხედვით, ყველა პირობა შეიქმნა იმისთვის, რომ მიგრანტები შეგუებოდნენ ადგილობრივ პირობებს და დაეწყოთ ახალი ცხოვრება, მაგრამ 1946-1947 წლებში ახალციხის რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომებზე მუდმივად მიმდინარეობდა განცხადებების განხილვა, რომელშიც ჩასახლებული ოჯახები ითხოვდნენ უკან დაბრუნებას. უმეტეს შემთხვევაში, მიზეზად დასახელებულია ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ადგილობრივი პირობების (კლიმატის) გავლენით. იყო სხვა მიზეზებიც, მაგ., გორის რაიონიდან სოფელ ფერსაში გადმოსახლებული მთის მოსახლეობა ძირითადად მისდევდა მესაქონლეობას, საძოვარი და სათიბები კი ბევრად იყო დაშორებული სოფელს; ბევრგან მწირი იყო სახნავ-სათესი მიწებიც (არსა, საქმე 426, გვ. 53).

მიგრანტთა დაბრუნებაზე თანხმობის გაცემა თითქმის არ ხდებოდა, ამიტომ მოსახლეობა ხშირად უნებართვოდ უბრუნდებოდა თავის ყოფილ საცხოვრებელს. 1946 წელს ადიგენის რაიკომის მდივნის რუხაძის სახელზე გაგზავნილ წერილში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ითხოვს მასალების გადაგზავნას ვინმე ვასილ გრძელიძეზე, რომელიც მაიაკოვსკის რაიონიდან (დღევანდელი ბაღდათის მუნიციპალიტეტი) ადიგენის რაიონში ჩასახლებულ გლეხებს ურჩევდა ძველ საცხოვრებელ სახლებში დაბრუნებას (შსსა, საქმე 175, გვ. 5).

ახალციხის რაიაღმასკომის თავჯდომარის ჩხიკვაძის 1947 წლის მოხსენებით ბარათში ზუსტადაა მითითებული თითოელი სოფლიდან წასულთა რაოდენობა - სულ 141 ოჯახი. ასეთ ოჯახებს იძულების წესით კვლავ აბრუნებდნენ ჩასახლების ადგილზე. უნდა აღინიშნოს, რომ წასული ოჯახები, როგორც წესი, მათთვის მიცემულ სასურსათო სესხს აღარ აბრუნებდნენ. 1950 წლისთვის საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებულთა რაოდენობამ შეადგინა 444 ოჯახი, ხოლო მათთვის სესხად მიცემულმა მარცვლეულის დავალიანებამ 147219 კოლოგრამი, ამიტომ ახალციხის რაიაღმასკომის დადგენილებით ეთხოვა მინისტრთა საბჭოს, ჩამოეწერა ეს დავალიანება ახალციხის რაიონისთვის (არსა, საქმე 506).

საარქივო მასალებში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პირიქით, ითხოვდნენ ჩასახლებას, მაგრამ უარს ეუბნებოდნენ სოფლების გადატვირთვისა და საცხოვრებელი ფართის უქონლობის გამო; უნებართვოდ ჩამოსახლებულებს კი უკან აბრუნებდნენ. მაგ.: სოფელ საყუნეთში ჩამოსახლებული 5 ოჯახი დაბრუნებულ იქნა ბორჯომის რაიონში (არსა, საქმე 426, გვ. 40).

ზემოთ მოყვანილი მონაცემებისა და ზოგადი სტატისტიკური ცხრილების შესწავლა-ანალიზით გამოიკვეთა რამდენიმე ტენდეცია. მუსლიმი მოსახლეობის დეპორტაციამ შიდა მიგრაციების განხორციელების მიუხედავად ***გამოიწვია რეგიონის მოსახლეობის შემცირება***. კერძოდ, ვ. ლორთქიფანიძის მონაცემებით 1939 წელს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა (ბორჯომის რაიონის გამოკლებით) შეადგენდა 228, 678 ათასს (ლორთქიფანიძე, 1998, გვ. 160), 1960 წლისთვის კი შემცირდა 176,7 ათასამდე, დაახლოებით 52 ათასით; 1960 წლისთვის რეგიონში (ბორჯომის რაიონის ჩათვლით) ცხოვრობდა სულ 213,7 ათასი კაცი, საქართველოს მთელი მოსახლეობის 5,1 %. აქედან ჯავახეთში (ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები) ცხოვრობდა 95,4 ათასი (საქართველოს მოსახლეობის 2,3% და რეგიონის მოსახლეობის 44,6 %), ხოლო სამცხეში (ადიგენის, ასპინძის, ბორჯომისა და ახალციხის რაიონები) - 118,3 ათასი კაცი (საქართველოს მოსახლეობის 2,8 % და რეგიონის მოსახლეობის 55,3%) (საბჭოთა საქართველოს 40 წელი, 1961, გვ. 13).

რაც შეეხება მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობას, სამცხე-ჯავახეთში გარდა ქართველებისა ცხოვრობდნენ სომეხი, ებრაელი, რუსი, ბერძენი უკრაინელი, პოლონელი, ოსი და ა.შ. ეროვნებები. რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით კი მართლმადიდებელთა გარდა იყვნენ გრიგორიანები, მუსლიმები (მათი რაოდენობა მკვეთრად შემცირდა 1944 წელს ე.წ. ,,მაჰმადიანი მესხების" გასახლების შემდეგ), კათოლიკეები (ქართველი და სომეხი), დუხობორები, მალაკნები და სხვ. (ფუტკარაძე, 1998, გვ. 25). 1959 წლის მონაცემებით რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ სომხები - 113 747 კაცი, რაც მთელი მოსახლეობის 64,5 % იყო. შდრ: სომხები მოსახლეობის 41,8%-ს შეადგენდნენ 1926 წელს, 1939 წელს კი - 44,0%. მათ შორის სამცხეში 1926 წ. - 15,1%, 1959წ. - 36,2%; ჯავახეთში ეს მაჩვენებელი 79,7-დან 88,7%-მდე გაიზარდა. სომხები უმრავლესობას შეადგენდნენ ახალციხის რაიონში – 25 753 (51,1%) და აბსოლუტურ უმრავლესობას – ახალქალაქისა (57 509- 90,8%) და ნინოწმინდის რაიონებში (27090 – 84,4%). სომხური მოსახლეობის მატება ფიქსირდება 1970 წლის მონაცემებშიც, რომლის მიხედვით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 125 737 სომეხი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს (66,1%).

ერთი შეხედვით, გაიზარდა ქართველთა ხვედრითი წილი 1939 წლის მონაცემებთან შედარებით (9,9 %), შეადგინა რა 1959 წელს 47 762 კაცი, რეგიონის მთელი მოსახლეობის 27%. თუმცა აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ 1939 წელს ჩატარებული აღწერისას აზერბაიჯანლებად აღრიცხეს მუსლიმი მოსახლეობა (38,5%), რომელიც ეროვნებით და ენით ქართველი იყო. ამდენად, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ 1944 წლამდე (მუსლიმი მოსახლეობის დეპორტაციამდე) ქართველები რეგიონში უმრავლესობას შეადგენდნენ. ***1959 წლისთვის ჩვენ სახეზე გვაქვს ქართველთა როგორც აბსოლუტური რაოდენობის (იყო 110 739 და შემცირდა 47762 - მდე), ისე ხვედრითი წილის შემცირება.*** ქართული მოსახლეობა უმრავლესობას შეადგენდა მხოლოდ ადიგენისა და ასპინძის რაიონებში, სადაც მოსახლეობა შედარებით მცირერიცხოვანი იყო.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მოსახლეობის გადმოსახლებამ რეგიონში ეთნოგრაფიული ჯგუფების სიმრავლე გამოიწვია. მკვიდრი ჯავახი და მესხი მოსახლეობის გარდა ცხოვრობდნენ იმერლები, რაჭველები, მეგრელები, აღმოსავლეთ საქართველოს მთიდან ჩამოსახლებული მთიულები, გუდამაყრელები. XX ს-ის 50-იანი წლების ბოლოს დაიწყო ქართველი მუსლიმების (აჭარლების) ჩამოსახლება ხულოს რაიონიდან ადიგენის მაღალმთიან სოფლებში. აღსანიშნავია, რომ გარკვეული დაძაბულობის მიუხედავად, სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური და ეთნოგრაფიული ჯგუფების ინტეგრაციისა და თანაარსებობის პროცესი მშვიდობიან ხასიათს ატარებდა.

დასკვნის სახით ავღნიშნავთ, რომ 1944-1955 წლებში სამცხე-ჯავახეთში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი მიგრაციული პროცესები, რომელთა შედეგად მოხდა თვისობრივი ცვლილებები მოსახლეობის რაოდენობრივი და ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით. დაცარიელდა მრავალი სოფელი; შემცირდა რეგიონის მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში; ასევე მოხდა ქართველთა როგორც აბსოლუტური, ისე პროცენტული ხვედრითი წილის შემცირება სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

არსა. (საქმე 424). *ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივი, ფონდი 3, საქმე 424, ოქმი # 237, 274, 275, 276.* ახალციხე.

არსა. (საქმე 426). *ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივი, ფონდი 3, საქმე 426.* ახალციხე.

არსა. (საქმე 506). *ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივი, ფონდი 3, საქმე 506, ოქმი # 83, დადგენილება 13.* ახალციხე.

არსა. (საქმე 424). ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივი, ფონდი 3. ახალციხე.

ლორთქიფანიძე, ვ. (1998). *ისტორიული მესხეთი: დემოგრაფიული განვითარების პრობლემები.* თბილისი: მეცნიერება.

ნათმელაძე, მ. (2002). *დემოგრაფიული პროცესები საქართველოში XX საუკუნის 40-იან წლებში (თურქებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების გასახლებანი საქართველოდან 1941-1951).* თბილისი: ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

საბჭოთა საქართველოს 40 წელი. (1961). თბილისი: სახელმწიფო სტატისტიკური გამომცემლობა.

ფუტკარაძე, თ. (1998). *ეთნიკური სტრუქტურა და ეროვნულ-დემოგრაფიული პროცესები სამცხე-ჯავახეთში.* ბათუმი: აჭარა.

შსსა. (საქმე 175). შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა 20, საქმე 175. თბილისი.

დანართი 1. ახალციხის რაიონში მიგრანტთა რაოდენობა სოფლების მიხედვით 1947 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

დანართი 2. მოსახლეობის რაოდენობა ახალციხის რაიონის სოფლებში 1955 წლისთვის:

REFERENCES

arsa. (sakme 424). *akhaltsikhis raionuli sakhelmts'ipo arkivi, pondi 3, sakme 424, okmi # 237, 274, 275, 276 [Akhaltsikhe District State Archive, Fund 3, File 424, Protocol # 237, 274, 275, 276].* Akhaltsikhe.

arsa. (sakme 426). *akhaltsikhis raionuli sakhelmts'ipo arkivi, pondi 3, sakme 426 [Akhaltsikhe District State Archive, Fund 3, File 426]*. Akhaltsikhe.

arsa. (sakme 506). *akhaltsikhis raionuli sakhelmts'ipo arkivi, pondi 3, sakme 506, okmi # 83, dadgenileba 13 [Akhaltsikhe District State Archives, Fund 3, File 506, Protocol # 83, Resolution 13]*. Akhaltsikhe.

arsa. (sakme 424). *akhaltsikhis raionuli sakhelmts'ipo arkivi, pondi 3 [Akhaltsikhe District State Archive, Fund 3]*. Akhaltsikhe.

lortkipanidze, v. (1998). *ist'oriuli meskheti: demograpiuli ganvitarebis p'roblemebi. [Historical Meskheti: problems of demographic development.]* Tbilisi: Metsniereba.

natmeladze, m. (2002). *demograpiuli p'rotsesebi sakartveloshi XX sauk'unis 40-ian ts'lebshi (turkebisa da skhva jgupebis gasakhlebani sakartvelodan 1941-1951) [Demographic processes in Georgia in the 40 s of the 20 th century (emigration of Turks and other population groups from Georgia 1941-1951).* Tbilisi: ist'oriisa da etnologiis inst'it'ut'i.

sabch'ota sakartvelos 40 ts'eli. (1961). *[40 years of Soviet Georgia*]. Tbilisi: sakhelmts'ipo st'at'ist'ik'uri gamomtsemloba.

put'k'aradze, t. (1998). *etnik'uri st'rukt'ura da shida-demograpiuli p'rotsesebi samtskhe-javakhetshi [Ethnic structure and national-demographic processes in Samtskhe-Javakheti].* Batumi: ach'ara.

shssa. (sakme 175). *shinagan sakmeta saminist'ros arkivi, pondi 14, aghts'era 20, sakme 175 [Archive of the Ministry of Internal Affairs, fund 14, description 20, file 175].* Tbilisi.

danarti 1. *akhaltsikhis raionshi migrant'ta raodenoba soplebis mikhedvit 1947 ts'lis 1 ianvris mdgomareobit [Number of migrants in Akhaltsikhe district by villages as of January 1, 1947].*

danarti 2. *mosakhleobis raodenoba akhaltsikhis raionis soplebshi 1955 ts'listvis [Number of population in villages of Akhaltsikhe district by 1955].*

დანართი 1.

ახალციხის რაიონში მიგრანტთა რაოდენობა სოფლების მიხედვით 1947 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

#	*სოფელი*	*კომლი*	*მოსახლეობის რაოდენობა*
1.	აწყური	318	1297
2.	ტყემლანა	79	360
3.	თისელი	48	196
4.	აგარა	61	242
5.	ზიკილია	89	365
6.	წინუბანი	92	359
7.	გურკელი	40	181
8.	საყუნეთი	136	624
9.	ფერსა	76	354
10.	მუგარეთი	65	225
11.	ნოხტევი	59	280
12.	გიორგიწმინდა	60	235
13.	შურდო	48	195

14.	კლდე	184	795
15.	წნისი	104	591
16.	ბოგა	100	427
17.	სვირი	133	901
18.	ელიაწმინდა	47	209
19.	ანი	102	389
20.	ჭვინთა	57	320
21.	მინაძე	57	291
22.	ზემო სხვილისი	50	248
23.	აბი	57	257
24.	ურაველი	109	409
25.	ხეოთი	30	122
	სულ:	2201	9599

დანართი 2.

მოსახლეობის რაოდენობა ახალციხის რაიონის სოფლებში 1955 წლისთვის:

#	*სასოფლო საბჭო*	*კომლი*	*მოსახლეობის რაოდენობა*

აწყურის

1	აწყური	440	1744
2	ტყემლანა	75	347
3	თისელი	108	482

აგარის

4	აგარა	82	314+63
5	ზიკილია	74	297
6	საყუნეთი	99	431
7	წინუბანი	94	429
8	გურკელი	40	192

ფერსის

9	ფერსა	88	336+60
10	გიორგიწმინდა	62	240
11	შურდო	42	193

12	მუგარეთი	68	274
13	ნოხტევი	51	225

კლდის

14	კლდე	208	676+119
15	წნისი	128	367
16	სვირი	142	671
17	ბოგა	86	371
18	ტატანისი	39	214

წყრუთის

19	წყრუთი	228	989
20	წირა	90	431
21	მიქელწმინდა	17	60

ელიაწმინდის

22	ელიაწმინდა	59	299
23	ჭვინთა	63	358
24	ანი	102	543

პატარა პამაჯის, საძელის

25	საძელი	147	691
26	ხაკი	50	244
27	აბი	55	284
28	პატარა პამაჯი	178	752
29	დიდი პამაჯი	182	790
30	ორალი	70	324
31	ყულალისი	40	197

წყალთბილის

32	წყალთბილა	519	2478
33	წინუბანი	155	700
34	ნაოხრები	195	920
35	აბათხევი	98	426
36	ჯულღა	108	521

მინაძის

37	მინაძე	66	288+27
38	ღრელი	42	210

39	ჭეჭერაქი	60	260

ანდრიაწმინდის

40	ანდრიაწმინდა	134	401+236
41	ანდა	31	166
42	არჯული	22	122

ქვემო სხვილისის

43	ქვემომ სხვილისი	321	1379
44	ზედა სხვილისი	51	219
45	ივლიტა	30	165

ურაველის

46	ურაველი	143	614
47	ხეოთი	57	324
48	წყორძა	30	167
49	მუსხი	131	727